საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა 13 ივლისი 1919 წ. პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 154

# ერთობა

ფასი 1 მან.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადებანი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

დამწუხრებული ბებია ანნა, დედა ივლიტე და ლუბა, ძმები: მიშა და შალვა ცაგარეიშვილები, ბიძები; ბართლომე, ვარლამი და იასონ მოსეშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 ივლისს ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ინ.

ალექსანდრე მიხეილის ძე ცაგარეიშვილის

40 დღის წირვა და პანაშვიდი.

ქართული კლუბის გაღი

კვირას, 13 ივლის 1919 წელს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა

ლატარია-ალეგრით.

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვაელილები, ფოსტა, რგოლის სროლა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკებიი და სხ. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

დასაწყისი დღის 12 საათ. შესასვლელი ფასი დიდებისათვის 5 მან. მოწხფეთათვის და ჯარისკაცთათვის 3 მ. წმინდა შემოსავლის 20 პროც. გადაიდება წით. ჯვრის სასარგებლოდ.

## რუსი-ჩინოვნიკობა და რუსი-დემოკრატია

ქვემოდ ჩვენ ვათავსებთ იმ საყურადღებო მიწერ-მოწერას, რომელიც ქონდათ ერთმანეთს შორის წინანდელ „ამიერ-კავკასიის რუსთა საბჭოს“ თავმჯდომარეს ცნობილ ლებედევ-სიბირსკის და იმავ რუსთა ახლად არჩეულ საბჭოს თავმჯდომარეს ბ. კალიუჟნის. მიწერ-მოწერა უფრო იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მასში აშკარად გამოხატულია რუს მცხოვრებთა ორი ჯგუფის შეხედულება საქართველოს რესპუბლიკაზე, ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ხაზი, რომელსაც მისდევს რუს-მცხოვრებთა ორი საზოგადოებრივი ჯგუფი კავკასიაში.

კავკასიაში მცხოვრები რუსობა შესდგება ორ მთავარ ჯგუფისაგან: 1) სახელმწიფო მოხელეთაგან და 2) დემოკრატიისაგან (მუშები და გლეხები).

რევოლიუციის პირველ თვეებში შემდგარი „რუსთა ეროვნული საბჭო“, რომლის თავმჯდომარე ბ. ლებედევ-სიბირსკი იყო, არ იყო არჩეული რუს მცხოვრებთა მიერ: იგი შესდგა პარტიათა შორის შეთანხმების ნიადაგზე. პარტიებში მომუშავე რუსები იყვენ მხოლოდ ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც რამდენადმე აუცილებელ კავშირით იყვენ გადახლართულნი ძველ სახელმწიფოებრივობასთან, ძველ „რუსეთის საქმესთან კავკასიაში“. რევოლიუციის დროს რუსი-მოხელეები, რუსი-ინტელიგენცია სულ მთლად სოც.-რევოლიუციონერთა და კადეტთა პარტიებში ჩაეწერენ. პატარა ჯგუფმა ს.-დ.—რუსებისა, რომელიც „რუსთა საბჭოში“ შევიდა, მალე ფეხქვეშ ნიადაგი დაჰკარგა და თავისი არაფერი შეუტანია საბჭოში. პირველი საბჭო გაესერებულ მოხელეების და კადეტების სათარეშოთ გადაიქცა. იგი მტკიცეთ იდგა წინანდელ თვალსაზრისზე—რომ ამიერ-კავკასია რუსეთთან განუყოფელი ერთეულია, რუსეთის უდავო ნაწილია, რომ თვით აზრი გამოცალკევების შესახებ არის დაუშვებელი რამ დანაშაული. იგი ბოლომდის ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ ამიერ-კავკასიის ერებს ნება აქვთ, თითონ გადასჭრან თავისი ბედი და გამოარკვიონ თავისი პოლიტიკური მდგომარეობა. ამ შეხედულებაზე იყო აშენებული ძველი საბჭოს მთელი პოლიტიკა, მისი შეურიგებელი, მტრული განწყობილება ამიერ-კავკასიაში და არსებულ სახელმწიფოთა მთავრობების მიმართ. თფილისში მოკალათებული რუსთა საბჭო აშკარა აგიტაციას ეწეოდა საქართველოს დასამხობად როგორც დიდი სახელმწიფოთა წარმომადგენლების, ისე დენიკინის წინაშე.

სულ სხვა პრინციპით არის შემდგარი ახალი „რუსთა საბჭო“. იგი არჩეულია დემოკრატიულ საარჩევნო წესით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო არა მარტო ინტელიგენციამ, არამედ ფართო დემოკრატიულმა საზოგადოებამ—მუშებმა და გლეხობამ. ამიტომ დღევანდელი „რუსთა საბჭო“ უმთავრესად ამ დემოკრატიულ მასსის ლტოლვილების და მიმართულების გამომხატველია. ბ.ბ. ლებედევსა და კალიუჟნის შორის მიწერ-მოწერა ნათლად გვიხატავს ამ ლტოლვილებას და ამ მიმართულებას. სულ სხვადასხვა თვალით უყურებს ეს ორი ნაწილი—ჩინოვნიკური და დემოკრატიული—რუსეთის საზოგადოებისა იმას, რასაც ეწოდება „რუსული საქმე კავკასიაში“. ბ. ლებედევს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ „რუსული საქმე კავკასიაში“ ნიშნავს „რუსეთის ბატონობას კავკასიაში“, რუსეთის მიერ კავკასიის დამორჩილებას. ამიტომ ადგილობრივი რუსი-მცხოვრებნი, ძველი საბჭოს აზრით, უნდა ეყრდნობოდენ უმთავრესად მოსულ ძალებს: „რუსეთის და რუს მცხოვრებთა ინტერესების დაცვა ამიერ-კავკასიაში შესაძლებელია მხოლოდ იმ ძალებზე დაყრდნობით, რომლებიც რუსეთის აღსადგენად იღწვიან“, ამბობს ბ. ლებედევი.

სხვანაირი აზრისაა „რუსთა საქმეზე“ ახლად არჩეულ საბჭოს თავმჯდომარე ბ. კალიუჟნი. „რუსთა საქმე“ ეს რუს მცხოვრებთა ფართო მასსის საქმეა—გლეხების და მუშების—და არა მოსულ ჩინოვნიკების. გლეხები და მუშები კი დაინტერესებულნი არიან მხოლოდ იმით, რომ რაც შეიძლება მჭიდრო და ძმური ურთიერთობა ჰქონდეთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რომელთანაც მათ სიკვდილამდის უნდა იცხოვრონ და რომლებთან ცხოვრება მოუხდებათ მათ შვილებს და შვილის-შვილებს. ასეთია პრინციპიალური წინააღმდეგობა იმ ორ პოლიტიკის შორის, რომელსაც ადგას ორი ჯგუფი რუსი საზოგადოებისა—ჩინოვნიკობა და დემოკრატია. აქედან გამომდინარეობს ამ ორი ჯგუფის შეხედულება კავკასიაში დაარსებულ სახელმწიფოთა მთავრობების მოქმედებაზე. ძველი საბჭო ვერ შეურიგდებოდა საქართველოს მთავრობას, რადგან ამ მთავრობამ გაატარა ნაციონალიზაცია სახელმწიფო დაწესებულებისა, რამაც ცარიელზე დასტოვა წინათ გაბატონებული რუსი ჩინოვნიკობა. მაგრამ ხალხისათვის საჭირო ნაციონალიზაცია თითქმის სრულებით არ უგრძვნია რუს-დემოკრატიას: გლეხები წინანდებურად განაგრძობენ მიწის დამუშავებას, მუშები ფაბრიკებში მუშაობას. აი რით აიხსნება, რომ იმას, რაც პირველ საბჭოს საქართველოს მოქმედებაში ქვეყნის დაქცევად, რუსების „დევნად“ და შევიწროებად მიაჩნია, დემოკრატიული მასსა უფრო დაწყნარებით უცქერის: ის წესიერება და მცხოვრებთა ინტერესების დაცვა, რომელიც რუსეთის სხვა ადგილებთან შედარებით უკეთ მიხწეულია საქართველოში, არ შეიძლება დასანახი არ იყვეს რუს დემოკრატიისათვის. ძველი რუსთა საბჭო სრულებით ანგარიშს არ უწევს იმას, თუ როგორი იქნება ადგილობრივ უმრავლესობის განწყობილება რუს მცხოვრებთა მიმართ. ახალი საბჭო კი ამ მხარეს უმთავრეს ყურადღებას აქცევს და მთელს თავის პოლიტიკას იმაზე აშენებს, რომ მცხოვრებთა უმრავლესობა კეთილი თვალით უცქეროდეს რუს მცხოვრებთ და კეთილ-მეზობლური განწყობილება ქონდეს მათთან. აქედან გამომდინარეობს ის შიში, ის სასტიკი უარყოფა, რომლითაც უყურებენ ადგილობრივი რუსი დემოკრატიული წრეები დენიკინის შემოსევას საქართველოში: „რა საქმე აქვს დენიკინის ჯარს აქ, ამიერ-კავკასიაში?“ რამდენჯერმე აღშფოთებით ეკითხება ძველ „რუსთა საბჭოს“ თავმჯდომარეს, ახალ „რუსთა საბჭოს“ თავმჯდომარე?

დენიკინ-კოლჩაკი „ობიექტიურად პროგრესიულ საქმეს აკეთებენ“, არწმუნებს რუს-ჩინოვნიკთა თავმჯდომარე აქაურ რუს-დემოკრატიულ საზოგადოებას.

დენიკინის ჯარების შემოსევა „ობიექტიურად—რეაქციონური საქმეა“, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობაში რუსთა წინააღმდეგ აღშფოთებას გამოიწვევს, უპასუხებს რუს-დემოკრატიის წარმომადგენელი.

ის საქმე, რომელსაც ემსახურებიან ლებედევი და მისი თანამოაზრენი, ზიანის მეტს არაფერს მოუტანს რუს დემოკრატიას: „ნუ უშლით დემოკრატიულ მუშაობას აქ, ამიერ-კავკასიაში“,—გაბრაზებული ეუბნება ბ. კალიუჟნი ბ. ლებედევს.

მიწერ-მოწერა მრავალ მხრივ არის საყურადღებო, მაგრამ მთავარი და უტყუარი დასკვნა, რომელიც ჩვენ შეგვიძლიან გავაკეთოთ მის წაკითხვის შემდეგ, ის არის, რომ ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოს მუდამ შეუძლიან საერთო ენა გამონახოს ადგილობრივ რუს-დემოკრატიასთან, მხოლოდ თუ რუს საზოგადოებაში გაისმის შეურიგებელი მტრული ხმა საქართველოს მიმართ, ეს არის ხმა ყოფილ რუს მოხელეებისა, რომლებსაც რევოლიუციამ ყველაფერი წაართვა და არაფერი მისცა.

## პროფესიონალურ კავშირების გარშემო

პროფესიონალური კავშირები ამ ჟამად მეტად მძიმე მუშაობას ეწევიან. მუშათა ხელფასის მოწესრიგება ნორმალურ დროსაც კი დიდ შრომას და ენერგიას ითხოვდა. დღევანდელ გართულებულ პირობებში ხომ ათასჯერ მეტი დაკვირვება და სიფრთხილე სჭირდება.

ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებასთან ერთად მას დიდი მუშაობა უხდება კულტურულ სფეროშიაც. იმ მცირე ძალებით, რომელნიც ამ დიად მუშაობას უდგანან სათავეში, ძნელია ყველა იმ კითხვების სათანადოთ მოწესრიგება, რომელიც თავს იჩენს ხოლმე თითქმის ყოველ დღე. სამწუხაროთ ეს მცირე ძალებიც კი გაფანტულია სხვადასხვა პროფესიებში, მოქმედებენ ხშირათ სრულიათ დამოუკიდებლათ, და თავის ნაბიჯების საერთო პროფესიონალურ მუშაობასთან შეუფარდებლათ, კიდევ უფრო ასუსტებენ, ისედაც სუსტ გამაერთიანებელ მუშაობას.

პროფესიონალურ კავშირებს უკვე ყავს ცენტრალური გამგეობა, რომლის მოვალეობაა გაუწიოს კავშირების მუშაობას საერთო ხელმძღვანელობა. ის შეძლების დაგვარათ კიდევაც ეწევა ამ მძიმე შრომას. მარა ზოგიერთ კავშირში გამეფებული სეპარატიული მიდრეკილება იმდენათ ძლიერია, რომ ხშირათ ცენტრალური გამგეობის მუშაობას უნაყოფოთ ხდის და საერთო სახელმძღვანელო ენერგია ისეთ რამეებზე იხარჯება, რომელსაც ადგილი არ აქვს იქ, სადაც მუშათა კლასს საკმაოთ შეგნებული აქვს თავისი კლასიური ინტერესები.

ძალა ერთობაშია—ეს ლოზუნგია მუშათა კლასის და არას დროს არ ყოფილა ეს ლოზუნგი ისე აუცილებელი, როგორც დღეს. ცალკე კავშირებმა მტკიცეთ უნდა შეითვისონ ის აზრი, რომ ცენტრალური გამგეობის სიძლიერე არის იმავე დროს მათი სიძლიერე, ცენტრის პოლიტიკა—მათი საერთო პოლიტიკა და ამ პოლიტიკის თავის კავშირებში გატარება, მათი უპირველესი მოვალეობა, რადგან მხოლოდ ასეთი საერთო პოლიტიკით არის შესაძლებელი დღევანდელ დახლართულ პირობებში მუშათა კლასის უმწეო მდგომარეობის რამდენიმეთ მაინც გაუმჯობესობა.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცენტრის პოლიტიკამ და მის მოქმედებამ უნდა შთანთქას კერძო კავშირების ინიციატივა და მათი მოღვაწეობა. სრულიადაც არა. ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ ცენტრის პოლიტიკის უმთავრესი ხაზი იყოს იმავე დროს კერძო კავშირების ხაზიც და ასე, საერთო გეგმაზე აშენებული მუშაობა სარჩულათ დაედოს ცენტრის წევრ კავშირების მოღვაწეობას. სანამ ეს არ იქნება, სანამ ცენტრი ერთს აკეთებს, ხოლო ესა თუ ის კავშირი მეორეს, მანამ შეუძლებელია პროფესიონალურ კავშირების მუშაობის სიძლიერეზე ლაპარაკი.

ასეთი მუშაობის გაჩაღება-გაძლიერება დიდათ არის დამოკიდებული თვით ცენტრზედაც. რამდენათ ცენტრი ცოცხალია, რამდენათ ის სწორათ აუღებს ალღოს ეკონომიური ცხოვრების მსვლელობას და მის ტენდენციებს, რამდენათ ის ახლო დადგება თვით კერძო კავშირების ყოველდღიურ ცხოვრებასთან, იმდენათ ის თვით შექმნის იმ საერთო კალაპოტს, რომელშიაც დატრიალდება საერთო მუშაობა.

ასეთ მუშაობაში დიდ დახმარებას გაუწევს მას პროფესიონალური პრესა. ცენტრალურ გამგეობას უკვე აქვს ასეთი ორგანო, მარა ამავე დროს სხვადასხვა კავშირები მაინც სცემენ თავის საკუთარ ორგანოს. რომ ჩვენი კავშირები ისე დიდი იყოს, როგორც არის მაგ. ევროპაში, მაშინ კიდევ ჰო, შეიძლებოდა ასეთი ცალკე ორგანოების არსებობა. მარა ჩვენში, წვრილ კავშირებისათვის ასეთი ორგანოები მიგვაჩნია მიზან შეუწონელათ. გამოცემის სიძვირეს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ისე ღარიბი ვართ, განსაკუთრებით პროფესიონალური მწერლებით, რომ მრავალი ორგანოების წარმოება მეტად ძნელია და ეს უკვე ატყვია ყველა იმ ორგანოებს, რომელიც დღეს გამოდის.

ჩვენ ვფიქრობთ, დღევანდელ პირობებში სავსებით საკმარისია ერთი ცენტრალური ორგანო, რომლის ფურცლებზე ადგილი ექნება ყველა კავშირების ყოფა-ცხოვრებას. ასეთი ორგანო, გარდა იმისა რომ დიდათ შეუწყობს ხელს კავშირების საერთო მუშაობას, იდეიური შინაარსითაც გაცილებით უფრო მდიდარი იქნება და ეს კი თავი და თავია კავშირების მოღვაწეობისათვის. ამიტომ, ჩვენი სურვილია ცენტრალურმა გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, გამოიყენოს კერძო კავშირების ლიტერატურული ძალები ცენტრალური ორგანოსათვის, გახადოს ის ყველა კავშირთა ორგანოთ და მით კერძო კავშირები გაანთავისუფლოს საკუთარი გაზეთის გამოცემის ზედმეტი შრომის და ხარჯებისაგან. ყოველივე ეს გაძლიერებს როგორც ცენტრს, ისე პერიფერიებს და ეს სიძლიერე კი მტკიცე გარანტიაა მუშათა კლასის პროფესიონალურ ინტერესების უზრუნველსაყოფათ.

**განი.**

## მოხალისეთა მუშაობა ჩვენში

(გენ. რომანოვსკის მოხსენებიდან)

მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი გენ. რომანოვსკი ბათუმიდან გაგზავნილ მოხსენებაში მოხალისეთა ჯარის სარდლობისადმი 31 მაისის თარიღით (№ 53) ჩამოთვლის, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო ქალაქ ბათუმში და მის ოლქში რუსთა პოლიტიკური გავლენის განსამტკიცებლათ.

ზოგიერთი ადგილები ამ მოხსენებიდან იმდენათ საყურადღებოა ჩვენი მკითხველისათვის, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მათი მოყვანა.

გენ. რომანოვსკის საჭიროდ მიაჩნია:

მოხალისეთა მთლიანი ვალიუტის შექმნა, რაც აუცილებლათ დასცემს ქართული ბონების ფასს ბათუმში.

ყოველ მხრით უნდა დახმარება აღმოეჩინოს რუსულ გაზეთ „ნაშ კრაის“. არ უნდა იქნას დაზოგვილი საშვალება ამ გაზეთის რუსულად, თათრულად და ქართულად გამოსაცემად, უნდა გაიაფდეს გაზეთი და მიეცეს საშვალება კვირაში ერთხელ მაინც სურათებიანი დამატებით გამოსვლისა.

# დღეს

„ფორვერტსის“ აზრით საზავო ხელშეკრულებაზე გერმანიამ ხელი მოაწერა გარემოებათა ზეგავლენით და არა ნებაყოფლობით.

ინგლისური პრესის ცნობით ოსმალეთის დელეგატების მიერ კონფერენციის დატოვების ცნობამ ოსმალთა წრეები დააღონა.

დასავლეთ ანატოლიაში ბერძნების საწინააღმდეგო მოძრაობაა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ოსმალთა სამსახურიდან გადაყენებული აფიცრები.

ზემო სილეზია ავტონომიას მოითხოვს. ჰანოვერში სროლა გრძელდება. ბერლინში უმუშევართა რიცხვი კლებულობს. ტრამვაის გაფიცვა ბერლინში გრძელდება. რკინის გზაზე, ზოგიერთ ალაგას, გაფიცული მოსამსახურენი მუშაობას შეუდგნენ.

ბალშევიკების ჯარმა ასხაბადი და კახკა აიღო. კასპიის მხრიდან ბაქოსკენ ლტოლვილები მრავლად მოდიან. გროზნი-ბესლანის რაიონში ინგუშებსა და მოხალისეთა შორის ბრძოლაა.

---

მთელის ძალღონით, სწერს რომანოვსკი, უნდა ვებრძოლოთ ქართველების პროპაგანდას და მათ დაპყრობითი მისწრაფებებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველების გავლენა ბათუმის ოლქში რუსებისთვის უფრო საშიშია, ვიდრე ოსმალეთის, ვინაიდან ქართველების გავლენა არა თუ ზნეობრივათ ხრწნის მცხოვრებთ, სოციალისტურ-ბალშევიკური ბანაკში გადასროლით, არამედ—ის საერთოდ მტრულ განწყობილებას ამყარებს ყოველგვარ რუსულ საქმესთან. ბათუმის ოლქის თითქმის მთელი მუსულმანობა ქართველთა ტომისაა, მაგრამ მცირედი გამონაკლისს გარდა არა თუ ისწრაფვის საქართველოსკენ, არამედ—სძულთ ქართველობა. ეს მტრობა დამყარებულია სარწმუნოებრივ სხვა და სხვაობაზე და იმ შუღლზე, რომელსაც აგრე ანვითარებდა აჭარლებში ოსმალეთის მთავრობა თვისი ბატონობის დროს, სარგებლობდა რა აჭარლებით როგორც ისლამის დასაყრდნობ ელემენტით ქრისტიან საქართველოს წინააღმდეგ. ქართველების მუშაობას ძმური კავშირის დასამყარებლათ, რომანოვსკის სიტყვით, აჭარლები მტრულად უცქერიან, ეშინიათ სარწმუნოების დაკარგვის და აქედან წარმომდგარი მათი პატრიარქალური ყოფა-ცხოვრების დანგრევის. რუსთა გავლენის აჭარლებს არ ეშინიათ და ამიტომ უნდა ვისარგებლოთ ამ მოვლენითო.

ამიტომ საჭიროა აჭარლებში იმ აზრის განმტკიცება, რომ რუსეთი არ დაღუპულა, რომ ახლო ხანში ის ისე ძლიერი იქნება, როგორიც იყო. საჭიროა ხალხში გავლენიანი პირებისთვის მხარის დაჭერა. უნდა მიღებულ იქნან სამხედრო პირები მოხალისეთა სამსახურში, მივცეთ მათ ჯამაგირი და მხარი დავუჭიროთ ადგილობრივ გავლენიან მოლებს.

საჭიროა ბათუმში და ოლქში მოხალისეთა ჯარის 3—4 ბატალიონის ჩაყენება დიდძალი ტყვიისმფრქვეველებით, ზარბაზნებით და სხ.

უნდა მოველაპარაკოთ ინგლისელებს, უფრო ყურადღებით მოეპყრან რუსულ საქმეს ბათუმში, რომ არ ჰქმნიდენ დაბრკოლებას და სხ. ოლქის მართვა-გამგეობის საქმეებში რუსებს უნდა შესაფერი უფლება მიენიჭოს, უფლება უნდა გვქონდეს ზოგიერთი ინგლისელის მართვა-გამგეობის საქმიდან გადაყენებისა. საერთოდ უნდა ვეცადოთ, რომ ინგლისელებმა შესცვალონ თავიანთი მოქმედება და დამოკიდებულება რუსებისადმი. ინგლისელები აშკარად მხარს უჭერენ ქართველებს, რუსებს კი არ თანაუგრძნობენ.

დაბოლოს გენ. რომანოვსკი ითხოვს პოლიტიკური მუშაობისათვის არა ნაკლებ 100—150 ათასი მანეთისა.

მოხსენების ყოველ პუნქტს გაკეთებული აქვს მთავარ-სარდლის შენიშვნა, რომლითაც ის იწონებს გენ. რომანოვსკის წინადადებებს და დაბოლოს წინადადებას აძლევს ფულის მისაღებათ წარადგინოს „ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო პროგრამა“.

ასეთია მოხალისეთა ჯარის სარდლობის მუშაობა ბათუმში, მის ოლქში და საერთოდ საქართველოში!

## დამფუძნებელი პრება

**11 ივლისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ოლ. სოლოლაშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა საქართველოს ბონების გამოცემის შესახებ და კანონ-პროექტისა ზოგიერთ უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

**ილ. ფირცხალაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი 1917 წ. მარტის 20-ს კანონის მოქმედების განაგრძობის შესახებ. ამ კანონის ძალით ყველა არსებული კოოპერატივების რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო 2 წლის განმავლობაში. ორი წელი უკვე გათავდა. დამფუძნებელმა კრებამ ეს ვადა გაგრძელა 1920 წლამდე.

**ს. მდივანის** მოხსენებით საგარეო საქმეთა კომისია გადაქცეულ იქნა მუდმივ კომისიად იმავე კონსტრუქციით, როგორითაც დღეს არის.

შემდეგ კრებამ მოისმინა სპ. კედიას განცხადება ერ. დემოკრატების შეკითხვის შესახებ აფხაზეთის საქმეების გამო. განცხადებიდან გამოირკვა, რომ ერ. დემოკრატიული პარტია თანახმაა მოხსნას თავისი შეკითხვა დროებით, სანამ საკითხი სავსებით არ გამოირკვევა და მთავრობა არ შეკრებს ყოველგვარ მასალას ამ საკითხის შესახებ.

**პ. გელეიშვილი** მთავრობის თავმჯდომარის სახელით ითხოვს დროებით მოხსნილ იქნას შეკითხვა.

შეკითხვა დროებით მოიხსნა.

**ალ. ასათიანი** (ერ. დ.) წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას სამეურნეო კომისია, რომელიც შეისწავლის რესპუბლიკის ეკონომიურ და სამეურნეო ცხოვრებას და საკანონმდებლო ორგანოს შესაფერი მასალების მიწოდებით გაუადვილებს მუშაობას.

**დ. თოფურიძე** (ს. დ.) წინააღმდეგია ასეთი კომისიის დაარსების და თავის აზრს იმით ასაბუთებს, რომ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ მაინც უნდა განიხილოს ყველა ის კითხვები, რომელსაც წამოაყენებს სამეურნეო კომისია და საქმე გართულდებაო. თუ საჭირო იქნება. მაშინ თვით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ უნდა გამოყოს თავის შემადგენლობიდან მცირე კომისიაო. ორატორი მოითხოვს უარყოფილ იქნას ასათიანის წინადადება სამეურნეო კომისიის დაარსების შესახებ. წინადადება უარყოფილ იქნა.

**გ. ანჯაფარიძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო საჭიროებისათვის 15 მილ. მანეთის გადადებისა.

**კონტროლიორის ამხანაგის არჩევა.**

კრებამ მოისმინა სახელმწიფო კონტროლიორის მიერ შემოტანილი წერილობითი განცხადება, რომელშიაც ის ითხოვს, რომ მის ამხანაგად დამფ. კრებამ აირჩიოს კონსტანტინე ანდრონიკაშვილი.

ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. წინააღმდეგ მიიღო 2 ხმა.

## უკანასკნელი ცნობები

**აბასთუმანი.**

**საგარაკო სეზონი.**

საგარაკო სეზონი გაიხსნა. ვანები მზადაა. მოგარაკენი მოდიან. ბინები იშოვება. აკეთებენ ახალ ბინებსაც. სურსათი არის.

**ბაქო.**

**უნივერსიტეტის საკითხი.**

მუსულმან მშრომელ ინტელიგენციის კავშირის გამგეობა პროტესტს აცხადებს ადერბეიჯანში მოსალოდნელი უნივერსიტეტის გახსნის გამო, ვინაიდან რუსულ ენაზე გახსნილი უნივერსიტეტი იქნებოდა საუკეთესო გამარუსებელი იარაღი. ავტონომიის საშუალებით ეს უნივერსიტეტი დენიკინის მომხრეთ გაუწოდებდა ხელს და საშუალო სკოლების გაეროვნება შეფერხდებოდა. უნივერსიტეტი უნდა გაიხსნას საშუალო სკოლების გაეროვნების შემდეგ. თურქულ ენაზე თურქმა სტუდენტებმა განათლება უნდა მიიღონ საზღვარგარეთ სახელმწიფოს ხარჯზე.

**ჩრდილო.-კავკასიაში.**

ინგუშებსა და მოხალისეებს შორის ბრძოლა დაიწყო. ინგუშებმა არ შეასრულეს მოხალისეთა მოთხოვნა მობილიზაციის შესახებ. ბრძოლა სწარმოებს გროზნო-ბესლანის რაიონში.

**ყარაბაღში მომხდარი ამბები.**

პარლამენტის მიერ გაგზავნილი კომისია ვერ შეთანხმდა. მუსულმანი დელეგატები ბრალს სდებენ სომხის ეროვნულ საბჭოს, სომეხი დელეგატები კი ადერბეიჯანის მთავრობას და განსაკუთრებით გენ.-გუბერნატორს სულთანოვს საჭირო ზომების მიუღებლობაში.

**კასპიის იქითა მხარეში**

კასპიის იქითა მხარიდან მოსულების ცნობიდ ბალშევიკებმა დაიკავეს სად. ვახკა, ხელთ იგდეს მოხალისეთა არმიის შტაბი და დიდი სამხედრო ძალები. კრასნოვოდსკში დიდძალი ლტოლვილებია კასპიის იქითა მხარედან მოსული. 6 ივლისს, ბალშევიკებმა დაიკავეს სადგ. ანაუდა. 7-ს ასხაბადი. დატოვებისას მოხალისეებმა ქალაქი გაანადგურეს.

ასხაბადიდან ბაქოსკენ მრავალი ლტოლვილები მოდიან. ბაქოში გადაწყვეტილი აქვთ ლტოლვილები ასე გაანაწილონ: რუსებს გაგზავნიან პეტროვსკში, სომხებს—სომხეთში, ქართველებს—საქართველოში, მუსულმანებს კი—განჯაში.

**მობილიზაცია დაღესტანში.**

დაღესტანში მოხალისეთა სარდლობამ მობილიზაცია გამოაცხადა. ჯარში გაყავთ 45 წლამდე. წინაღმდეგნი სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცემიან.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

12 ივლისი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

„ფორვერტსი“ აცხადებს, რომ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერა გარემოების ზეგავლენით მოხდა და არა ნებაყოფლობით. ვერსალის ხელშეკრულებას უნდა ვებრძოლოთ საერთაშორისო მოღვაწეთა ზნეობრივ საშუალებით.

ლოიდ ჯორჯმა პარლამენტში განაცხადა: გამოირკვა, რომ გერმანელები მხოლოდ ზოგიერთ ახალშენში ეპყრობოდნენ მკაცრად ადგილობრივ მკვიდრებს. გერმანული პრესა ამბობს, თუ ეს ასეა, რატომ მხოლოდ ამ ახალშენებს არ ჩამოართმევენ გერმანიასაო? გერმანელები არც აღმოსავლეთ აფრიკაში და არც ქამერუნში მკაცრად არ იქცეოდნენ. 1906 წლიდან გერმანელები კეთილსინდისიერად ზრუნავდნენ ახალშენების მკვიდრებზე და სამაგალითოდ ეპყრობოდნენ მათ, რაც სხვა სახელმწიფოთა ექსპერტებმაც აღიარეს. კენტერბერიის არქიეპისკოპოსი, ინგლისურ ოფიციალურ ცნობების მიხედვით, დასავლეთ ავსტრალიის მკვიდრთა მდგომარეობას მონობას ადარებს. იგონებენ აგრეთვე ინგლისელების მოქმედებას ბურებთან ომის დროს და ამბობენ, გერმანიის ახალშენების მცხოვრებთ რომ დაჰკითხებოდნენ, მაშინ გერმანია არ დაკარგავდა ახალშენებსაო.

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ ბარონ ფონ-ლერსნერმა სამშაბათს კლემანსოს გადასცა ნოტა იმის შესახებ, რომ ახლოვდება აღმოსავლეთ გერმანიაში ხელშეკრულების პირობათა შესრულების დრო და საჭიროა მიღებულ იქნას წინასწარი ზომები. გერმანიის ჯარების გამოწვევა იმ ოლქებიდან, რომელიც გერმანიას უნდა ჩამოშორდეს, ეჭვი არაა, დიდათ გაართულებს მდგომარეობასო.

ზემო სილეზიის ეროვნულ ყრილობის წარმომადგენლებს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ ოთხშაბათს ზემო სილეზიის ავტონომიის შესახებ.

ჰანოვერში უწესობა და ღამ-ღამობით სროლა გრძელდება.

მინისტრი ვისელი გადადგა. ფიქრობენ, რომ კაბინეტში უპირატესობას დემოკრატიული პარტია მოიპოვებს.

ბერლინში უმუშევართა რიცხვი თანდათან კლებულობს. ტრამვაის და სხ. მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება და გაფიცვები მოკლე ხანში დასრულდება, ხუთშაბათიდან რკინის გზებზე ზოგიერთ ადგილას მუშაობა უკვე დაიწყო.

ფრიდრიხ სტამფერმა „ფორვერსტის“ მთავარ რედაქტორობას თავი გაანება. ის უკანასკნელ ხანამდე შეუძლებლად სცნობდა საზავო ხელშეკრულების მიღებას. მის ადგილას პავლე ბოდეროში დაინიშნება.

იუწყებიან, რომ ის ცნობები, თითქოს სად. ბებრაზე გაფიცულებს ცეცხლი გაეჩინოთ, მართალი არ არის. ცეცხლი ქიმიური მასალის აფეთქებით და 150 ვაგონის განადგურებით გაჩნდა.

ემონტსი, რომელიც კომუნისტური იდეების ქადაგებისთვის დააპატიმრეს, სამშაბათს მოულოდნელად ბანკში მოსამსახურეთა მიტინგზე გამოცხადდა და შემდეგ ისევ სადღაც გაჰქრა.

ოთხშაბათს საღამოს ებერტმა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია დაასრულა.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

სტამბოლიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ პარიზიდან მოსულმა უკანასკნელმა ცნობებმა ოსმალეთის ნოტის მიღების და კონფერენციის დატოვების შესახებ, ოსმალთა წრეები დააღონა.

მიუხედავათ ეროვნულ მილიციის მოწყობის შესახებ მინისტრთა ცირკულიარისა, დასავლეთ ანატოლიაში ბერძნების საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელსაც გადაყენებული აფიცრები ხელმძღვანელობენ, გრძელდება, განსაკუთრებით რუფი-ბეემში.

# ახალი ამბები

**დიდი სახალხო სეირნობა** ლატარია-ალეგრით გაიმართება დღეს ქართული კლუბის ბაღში, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საშუალებას. გაძლიერებასა ხოლო 20 პროც. ამავე შემოსავლისა გადაიდება რესპუბლიკის რეფერენდუმის სასარგებლოთ. გამართული იქნება ყოველგვარი საბავშო გასართობი, დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. ლატარიაში ჩაგდებულია მრავალი ძვირფასი ნივთი: ხალათები, ჭურჭლეულობა, სამეურნეო იარაღები, თეთრი ფქვილი, შაქარი, კარტოფილის სანთელი, სპიჩკა, წიგნები და მათ შორის 500 მანეთიანი დიდი „ვეფხვის ტყაოსანი“ და ა. ყაზბეგის სრული ნაწარმოები.

✦ **იაფი პური.** სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის თვითმართველობის ამ დღეებში შეუდგება იაფ-ფასიანი პურის განაწილებას ფაბრიკა—ქარხანების და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებზე. პურის მისაღებათ ფაბრიკა-ქარხნებმა და დაწესებულებებმა აუცილებლათ უნდა შეადგინონ სიები მუშა-მოსამსახურეებისა და სასურსათო ბარათებთან ერთათ წარადგინონ სასურსათო განყოფილებაში. სიები უნდა იყოს შემოწმებული პროფესიონალური კავშირების გამგეობისაგან; კერძო დაწესებულებებს და ფაბრიკა-ქარხნებს მიეცემათ პური არა ნაკლებ 5 ფუთისა, ამიტომ მცირე რიცხოვანი დაწესებულებები ფაბრიკა-ქარხნები უნდა შეერთდნენ. ნორმა პურის და ფასი ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ **ცირკულიარი ჯარში გაწვევის შესახებ.** მთავრობის თავმჯდომარემ ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს დაუგზავნა ცირკულიარული მოწერილობა შემდეგი შინაარსის: ცნობილია, რომ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მსახურებენ ისეთი პირნი, რომელნიც ვალდებულნი არიან მოიხადონ სამხედრო ბეგარა‘ რის შეუსრულებლობა შეუწყნარებელია საზოგადოთ და კერძოთ დღევანდელ რთულ მომენტში, როდესაც თითეული ჯარისკაცი მეტად საჭიროა ფრონტზე. ამიტომ განკარგულებას ვაძლევ ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებებს შეადგინონ სიები მოსამსახურე პირთა და თუ მასში აღმოჩნდენ ისეთები, რომელნიც სამხედრო ბეგრის მოხდას გაურბიან, დაუყონებლივ დაითხოვონ სამსახურიდან და მათ შესახებ ეცნობოს სათანადო უწყებას.

✦ **ფრონტის დღეები.** 19 და 20 ივლისს ყველა ბაღებში კლუბებში, თეატრებში და სხვაგან უნდა აღინიშნოს ეს დღეები. მოწოდებით მიმართავენ ყველას, რომ ერთი დღის შემოსავალი ან დღის ხელფასი, გადაიდოს ამ მიზნისათვის. თეატრებმა, კლუბებმა, ბაღებმა, და კინემატოგრაფებმა ჩვეულებრივზე მეტი პროცენტები ან მთელი შემოსავალიც უნდა გაიღოს. ყოველგან განსაკუთრებული ძალები იქნება. დღესასწაული დაიწყება თავისუფლების მოედნიდან, პროვინციებში იგზავნება მოწოდებები, რომ 19 და 20 ივლისი ყველგან აღნიშნონ. ყველა უნდა ჩაებას მუშაობაში და მაშინ უზრუნველყოფილია იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც დასახული აქვს მთავარ კომიტეტს.

✦ **ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის** წევრთა საზოგადო კრება შესდგება დღეს, 13 ივლისს, დილის 9 საათ. მუშათა კლუბში, პლეხანოვის პროსპ. № 65), დღის წეს-რიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) ტარიფი და სატარიფო პალატა, 3) სალიკვიდაციო ფულები, 4) სარევიზიო კომისიის არჩევა, 5) მუშათა საბჭოს არჩევნები 6) მიმდინარე საკითხები. წევრებს სთხოვენ დაესწრონ კრებას და თან იქონიონ საწევრო ბილეთები.

✦ **მანგლისის რაიონული** საქ. სოც. დემ. კოლექტივის თავმჯდომარე შავშიშვილისაგან თფილისის მაზრის სოც.-დემრატიულ კომიტეტის სასარგებლოთ მივიღეთ ორასი თუმანი (2,000 მან.) გერონტი კილასონია.

✦ **წარმოდგენა.** დღეს, საღამოს 8 საათ. არსენალის თეატრში ჩუღურეთის სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა. დასდგამენ: „სიმდიდრის მსხვერპლი“, და „ტიმოთეს ლელვი“. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

**კრებები**

ორშაბათს, საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს., ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის და თფილისის ქალთა კომიტეტის წევრთა შეერთებული არაჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგშია: ფრონტის დღე და მისი მოწყობა.

— დღეს, დილის 10 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში ქალაქის თავის მიერ დანიშნულია ყველა დაწესებულებათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა. სხდომაზე მოწვეულნი არიან სატარიფო პალატის წარ-

მომადგენლები. მრეწველთა ორგანიზაციის და სხ. განსახილველია პირველ საჭიროების საგნების მიწოდება მუშა-მოსამსახურეებისათვის.

— 15 ივლისს საღამოს 6 ს. დანიშნულია კუკიის მცირე კოლექტივის მორიგი სხდომა აფჭალის აუდიტორიის შენობაში.

— ორშაბათს, 14 ივლისს საღამოს 5 ს. დანიშნულია ავჭალის სახალხო კითხვათა აუდიტორიის გამგეობის არა-ჩვეულებრივი სხდომა.

**პროვინციის ქრონიკა**

**ზესტაფონი.** 20 ივლისს დილის 9 ს. დანიშნულია ქ. ზესტაფონში მაღალ-დაწყებითი სასწავლებლის ბინაზე შორაპნის მაზრის მასწავლებელთა საერთო კრება. განსახილველია შემდეგი კითხვები, 1) სარევიზიო კომისიის და გამგეობის მოხსენება, 2) მასწავლებელთა კოოპერატივის საკითხი, 3) გამგეობის რეორგანიზაცია.

# ძველი და ახალი რუსთა ეროვნული საბჭო

(მიწერ-მოწერა ლებედევსა და კალიუჟნის შორის)

**ბ. ლებედევის წერილი*)**

ეკატერინოდარში მიღებულ თფილისის გაზეთებიდან, რომლებშიაც მოთავსებულია ამიერ-კავკასიის რუსთა მეორე ეროვნულ საბჭოს სხდომის ანგარიშები, გავიგეთ შემდეგი:

1) საბჭოში მომხდარა განხეთქილება და ყველა მემარჯვენეებს და კადეტეს დაუტოვებიათ საბჭოს სხდომა.

2) დანარჩენი ნაწილი საბჭოსი შესულა საქართველოს მთავრობის და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მფარველობის ქვეშ, **რ**ომელთა მოქმედება აშკარათ მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ და რომელნიც სჩაგრავენ ყოველივე რუსულს საქართველოში. შესვლა იმ სახალხო გვარდიის მფარველობის ქვეშ, რომლის მოქმედება რუსთა კორპუსის ლიკვიდაციის და სხვადასხვა რეკვიზიციების დროს ჩვენთვის საკმარისად ცნობილია.

3) საბჭოს ამ დარჩენილ ნაწილს მიუღია რეზოლიუციები, რომელნიც მიმართულია ბალშევიკებთან ერთად შეიარაღებულ ბრძოლით რუსეთის აღმდგენის კოლჩაკის და მოხალისეთა ჯარის მთავრობათა წინააღმდეგ.

გთხოვთ გვაცნობოთ,—სწორია თუ არა გაზეთის ამგვარი ცნობები და თუ სწორია, იხელმძღვანელებს თუ არა ახალი შემადგენლობა საბჭოსი მიღებული რეზოლიუციებით. და თუ ახალი საბჭო იხელმძღვანელებს მიღებული რეზოლიუციებით, მაშინ გთხოვთ ჩვენ არ ჩაგვთვალოთ საბჭოს წარმომადგენლათ. ჩვენ ვდგევართ დიამეტრალურათ მოწინააღმდეგე თვალსაზრისზე და ვსთვლით, რომ: 1) მოხალისეთა ჯარი და კოლჩაკის მთავრობა, ბალშევიკებთან შეიარაღებულ ბრძოლით აკეთებენ ობიექტიურ-პროგრესიულ საქმეს და მიჰყავს რუსეთი დამფუძნებელ კრებამდე, რასაც მოწმობს ოფიციალური დეკლარაცია ადმირალ კოლჩაკის, რომელიც სცნო სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალ დენიკინმა.

ამავე თვალსაზრისზე დგანან რუსეთის პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც ჩვენ ვეკუთვნით:—„სამხრეთ რუსეთის კონფერენცია“, ხალხთა თავისუფლების ჯგუფები და ცალკე ეკატერინოდარის ჯგუფი და აგრეთვე შრომის სახალხო სოციალისტური პარტია.

რუსეთის და ამიერ-კავკასიაში მოსახლე რუსთა ინტერესები შეიძლება დაცულ იქნას მხოლოდ იმ ძალაზე დაყრდნობით, რომელსაც მიზნათ აქვს რუსეთის აღდგენა. და ამიერ-კავკასიაში მოსახლე რუსთა ინტერესების დაცვის საქმის საქართველოს შოვინისტურ მთავრობისთვის გადაცემა და ამის იმედის ქონა, არის შეცდომა და დამღუპველი მთელი რუსთა საქმის ამიერ-კავკასიაში. ჩვენ მიერ უარის განცხადება არის პირობითი; თქვენგან ამაზე პასუხის მიღებამდე ჩვენ ვაწარმოვებთ სახჭოს მიმდინარე საქმეებს, ხოლო საბჭოსათვის მოხალისეთა ჯარისაგან ფულის მისაღებათ შუამდგომლობის გაგრძელება ამიერ-კავკასიის რუსთა მეორე ეროვნულ საბჭოში შექმნილ მდგომარეობის გამო შეუძლებელია.

**კალიუჟინის პასუხი.**

რუსთა ახალი საბჭოს თავმჯდომარე კალიუჟინი შემდეგ პასუხს აძლევს ლებედევს:

ამიერ-კავკასიის ეროვნული საბჭოს საკითხი ისე არ სდგას, როგორც ეს თქვენ გეჩვენებათ. საბჭოს არ უფიქრია ვინმესაგან მფარველების მიღება.

ჩვენ სავსებით ვემყარებით შინაურ ძალაზე და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ „ბატონი მოვა და გაგვასამართლებს“. ჩვენ გვსურს დავუახლოვდეთ ადგილობრივ დემოკრატიის და ამ დაახლოვებაზე დავეყრდნოთ. ჩვენ არ ვიცქირებით ჩრდილოეთისაკენ. ჩვენ მხოლოდ ძმურ ხელს ვუწვდით ჩრდილოეთის დემოკრატიას ყუბანის რადის სახით.

ის პოზიცია, რომელიც ჩვენ აქამდის **გვ**ეჭირა, ერთად მოთავსება ორი ერთმანეთთან შეურიგებელ ფუნქციისა—ყუბანიდან მიღებული საელჩო რწმუნებულებანი და ადგილობრივ რუს მცხოვრებთა წარმომადგენლობა, ძლიერ აფერხებდა ჩვენს მუშაობას, ამ პოლიტიკის წყალობით რუსი მცხოვრებნი დარჩენ სხვადასხვა ორგანიზაციების გარედ. (როგორიცაა წვრილი საერობო ერთეული და სხ.).

პოლიტიკის ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ყუბანის საელჩო რწმუნებულებაზე.

ყუბანი თუ მოისურვებს თავის წარმომადგენლის გამოგზავნას, მან უნდა გამოგზავნოს სოციალისტი, რომელმაც უნდა შეიგნოს, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, რუსები აქ იქნებიან უმცირესობაში და შევლენ ადგილობრივ საოლქო კონფედერატიულ ან ფედერატიულ, ან შეიძლება დამოუკიდებელ ერთეულში.

ამ საკითხების შესახებ კადეტების აზრი არ ვიცით ოფიციალურათ. ისინი (კადეტები) სიეზდის დასაწყისშივე წავიდენ, რადგანაც შეურაცყოფილათ იგრძნეს თავი ზოგიერთი ბაქოელი წარმომადგენლის მანდატის მიუღებლობის გამო. კადეტების წასვლას არ შეიძლება რასკოლი ეწოდოს.

რაც შეეხება იმ რეზოლიუციებს, რომელიც საბჭომ გამოიტანა კოლჩაკის და დენიკინის წინააღმდეგ, გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ ყოველგვარი შეიარაღებული გამოლაშქრება ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ „რუსთა საქმის“ გასაკეთებლათ, იქნება წმინდა რეაქციონური და გამოიწვევს ადგილობრივ მცხოვრებლებში ღრმა სიძულვილს ყოველივე რუსულისადმი. ადგილობრივ მცხოვრებლებში ღრმად შეიჭრა ერთა თვით-გამორკვევის იდეა და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. შეიარაღებული ძალით მისი ჩაკვლა-შეჩერება შეუძლებელია. რუსების სამხედრო რაზმის ჩამოსვლა აქ შოვინიზმის ცეცხლს დაანთებს.

თქვენ, როცა ადგილობრივი **რუ**ს მცხოვრებთა ინტერესების დასაცავად გვირჩევთ დენიკინისა და კოლჩაკისადმი მიმართვას, მაშინ აკეთებთ აშკარა რეაქციონურ საქმეს. ასეთი მეთოდებით თქვენ გამოიწვევთ ადგილობრივ მცხოვრებ ხალხთა შორის შოვინიზმის გაღვივებას და მათ შორის ისეთ ორმოს გათხრით, როგორიც გათხრილია სომეხ-თათართა შორის.

ჰკითხეთ ადგილობრივ გლეხობას და სექტანტებს, სურთ თუ არა მათ ეს და სწამთ თუ არა მათ ხიშტების ძალა?

რუსეთში კოლჩაკ-დენიკინი ებრძვის ბალშევიზმს, აქ კი რა უნდათ მათ? რა საქმე აქვთ? ამიერ-კავკასიაში ხომ არ არის ბალშევიზმი? თქვენ იქნებ ფიქრობთ, რომ დენიკინ-კოლჩაკი ადგილობრივ მცხოვრებლებს ისე არ გაასამართლებენ, როგორც ამას სხვაგან სჩადიან? არა. ისინი აქ მეტსაც იზამენ.

თქვენ დღეს ხელს უწყობთ დენიკინ-კოლჩაკის ძალების განვითარებას, მაგრამ რას იზამთ ან სად წახვალთ მაშინ, (თუ მათ შესძლეს ბალშევიზმის დამარცხება), როცა ისინი ბალშევიზმს დაამარცხებენ და მონარქისტულ კონსტიტუციის წერას შეუდგებიან? მაშინ ისინი მოსპობენ ყველას, ვინც მათ ამ საქმეში მხარს არ დაუჭერს.

ნუ უშლით თქვენ ხელს დემოკრატიულ მუშაობას ამიერ-კავკასიაში. დაეხმარეთ სამხრეთის და ჩრდილოეთის დემოკრატიის გაერთიანების საქმეს.

თქვენ მართალნი იქნებოდით, რომ აქ საქართველოში, ნაციონალისტური პარტიები იყვნენ სათავეში. აქ ხომ დემოკრატიის რთულ საქმეებს განაგებენ სოც.-დემოკრატები, რომელნიც ებრძვიან ყოველგვარ ნაციონალისტურ მოვლენას. აქ არის პირობები დემოკრატიული მუშაობისათვის და მის გარეშე არც არის ხსნა. მე ვამტკიცებ, რომ ამ მხრივ აქ დემოკრატიის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვინემ რუსეთში.

გამოვდივართ რა ყველა ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებიდან, ჩვენ ვამბობთ: ამიერ-კავკასიაში მკვიდრ მცხოვრებთათვის ყოველგვარი „კოლჩაკი“ ერთნაირად მიუღებელია, რადგანაც ის შეეცდება აქ „რუსთა საქმის კეთებას“ იარაღის საშუალებით. ჩვენ ვდგევართ ადგილობრივ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩაურევლობის ნიადაგზე და ვაწარმოებთ მკვიდრ მცხოვრებთა დაცვის ხაზს და კიდევაც შესაფერ ნაყოფს ვღებულობთ.

*) ბ. ლებედევი იყო ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს ძველი შემადგენლობის რწმუნებული, რათა ეშუამდგომლა ყუბანის ოლქის მთავრობის წინაშე, რომ მიეცათ რუსთა ეროვნულ საბჭოსთვის დეფიციტის დასაფარავათ 1,100,000 მ. ბ. ლებედევის მიმართვა მოხალისეთა ჯარისადმი ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოსთვის ფულით დახმარებაზე, საბჭოს ახალი თავმჯდომარის ბ. კალიუჟნის თქმით, არის თვითნებითი ნაბიჯი ლებედევისა. ამის უფლება მისთვის არ მიუცია რუსთა ეროვნულ საბჭოს ძველ შემადგენლობას.

# წერა-კითხვის საზოგადოებისთვის

**(საზოგადოების საყურადღებოთ)**

დღეს ქართული კლუბის ბაღში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საშუალებათა გაძლიერებას, ხოლო 20% ამ შემოსავლისა გადაიდება რესპუბლიკის წითელი ჯვრის სასარგებლოთ.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება ძველი რეჟიმის დროს მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ენერგიულათ ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის განაპირა ადგილებში ქართული ენის შენარჩუნებისა და გაძლიერების დიდ საქმეს. თავისი ეროვნული სკოლებისა, ბიბლიოთეკებისა. სახალხო და სხვა წიგნების გამოცემის საშუალებით ამ საზოგადოებამ დაუფასებელი სამსახური გაუწია ხალხში სამშობლოს შეყვარება-გაცნობისა, წერა-კითხვის გავრცელებისა და საზოგადო შეგნების შეტანის საქმეს.

განთავისუფლებულმა და დამოუკიდებელმა საქართველომაც დიდი სახელმწიფოებრივი საქმის ასრულება მოითხოვა ამ დამსახურებული საზოგადოებისაგან; დღეს საზოგადოება შეუდგა ფართო მასშტაბით წიგნების გამოცემის საქმეს. საზოგადოებასთან მუშაობს სპეციალისტთა რამდენიმე კომისია, რომელნიც ადგენენ სასკოლო ორგინალურ სახელმძღვანელო წიგნებს, სთარგმნიან ყველა ერთა კლასიკურ ნაწარმოებთ და სხვა. სახელმწიფოს პოლიტიკურ აღმშენებლობასთან ერთად, თუ კულტურული მუშაობაც არაა გაჩაღებული, ისე სახელმწიფო არ აშენდება.

აქედან ცხადია, თუ რამდენათ საჭიროა წერა-კითხვის საზოგადოების საშუალებათა გაძლიერება, მით უმეტეს, რომ გართობასა და სიამოვნებასთან ერთად დამსწრე შეიძლება ხელცარიელიც არ დაბრუნდეს სახლში: ლატარიაში აუარებელი საჭირო ნივთებია ჩაგდებული: ხალათები, ჭურჭლეულობა, სამეურნეო იარაღები, თეთრი ფქვილი, შაქარი, სპიჩკა, ძაფი, კართოფილის სანთელი, ჭურჭლეულობის საწმენდი ტილო, წიგნები, მათ შორის დიდი 500 მანეთიანი „ვეფხვის ტყაოსანი“. და ა. ყაზბეგის სრული თხზულება.

ყველა მოქალაქე, რომელიც სეირნობას დაესწრობა და თავის წვლილს გაიღებს, ამით ხელს შეუწყობს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის კულტურული განვითარების და დაწინაურების საქმეს.

**მოქალაქე.**

# თფილისის მაზრის ერობის საბჭოს მესამე ყრილობა

მიმდინარე წლის 29 ივნისს შესდგა თფილისის მაზრის ერობის საბჭოს მესამე ყრილობა; ყრილობას ხმოსანთა საკმაო რიცხვი დაესწრო და გაგრძელდა ექვს დღეს. პირველ დღიდანვე ყრილობას საქმიანობის ხასიათი დაეტყო. საკითხების განხილვაში ყველა ხმოსნები მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ, პრეზიდიუმის შემადგენლობაში შემდეგი ცვლილება მოხდა: ა. ჭიაბრიშვილის ნაცვლად, რომელმაც მოუცლელობის გამო უარი განაცხადა პრეზიდიუმში თავმჯდომარეობაზე, არჩეულ იქნა გ. კანდელაკი. ამგვარად, პრეზიდიუმის შემადგენლობა შემდეგია: გ. კანდელაკი, ი. სტურუა და ნ. გვანცალაძე. გამგეობა შესდგება შემდეგი წევრებისაგან: ონიაშვილი (თავმჯდომარე), ლ. ასათიანი, მამულაშვილი, იშხანოვი, ავალიშვილი. ეს შემადგენლობა უცვლელად დარჩა. პრეზიდიუმის წევრებმა ჯამაგირის მიღებაზე უარი განაცხადეს. ამგვარად პრეზიდიუმის წევრების ჯამაგირები გაუქმდა. გამგეობის წევრებს დაენიშნათ 2500 მან. თვეში.

ყრილობის დადგენილებით მასწავლებლებს პირველ ენკენისთვიდან მოემატებათ 400 მან. ჯამაგირი თვეში. მაზრაში იხსნება 3 უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი და 10 დაბალი. სკოლების შენობების შესაკეთებლად და მოსაწყობად გადაიდვა 400,000 მან. ყრილობამ სასურველად სცნო . საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღების დაჩქარება. ტელეფონის ქსელის მოსაწყობათ, მაზრაში გზების გასაკეთებლად, სარწყავი არხების გასაყვანად წინასწარი გამოკვლევების საწარმოებლად, მცხოვრებთა სურსათით უზრუნველყოფად გადადებულია 15 მილიონამდე. ყველა საქმეებზე გადადებული თანხა ტოლია 25,185,021 მანეთს.

**ნ. ბ.**

# სომხური ეროვნული საბჭოს არჩევნების გამო

20 ივლისს უნდა მოხდეს სომეხთა ეროვნული საბჭოს არჩევნები. ეროვნულ საბჭოს ბევრი კულტურული საქმეების გაკეთება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ სომხის დემოკრატიისთვის. მით უმეტეს, რომ მას უხდება მუშაობა თავისუფალს ქვეყანაში, სადაც მას ფართო ასპარეზი ექნება იმოქმედოს ისე, როგორც მოითხოვს წმინდა დემოკრატიული ინტერესები; მაგრამ აქ კითხვა იბადება: ძველმა ეროვნულმა საბჭომ, სადაც დაშნაკელები ორ წელიწადზე მეტია ბატონ-პატრონობენ, გაგვიკეთა რამე სომეხ მუშებს?

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენთვის არაფერი არ გაუკეთებიათ, გარდა იმისა, რომ ისინი მუდამ შურსა და მტრობას სთესავდენ ორ მოძმე ერთა შორის. დაშნაკცაკანური ეროვნული საბჭო აქ, თფილისში, კაკანებდა და ერევანში თავის მოძმეებთან კი კვერცხსა სდებდა. ისინი სავსებით იზიარებდნენ ერევნის მესვეურების დამღუპველ პოლიტიკას ხალხის გადაკიდებაში. და ისეთ ხალხს, როგორიც არიან დაშნაკცაკანები, სად ეცლებოდათ ხალხისათვის რამე გაეკეთებინათ? და აი, სწორეთ ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენ, სომეხ მუშებს, რომლებიც ვცხოვრობთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და შესაფერი მსჯავრი დავდოთ მათ, როდესაც მივალთ საარჩევნო ყუთებთან. ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენი ხმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას, რომელიც გამოდის მე-3 ნომრით!

არც ერთი ხმა დაშნაკცაკანებს და მათ მე-4 ნომერს! არც ერთი ხმა გამთიშველი პოლიტიკის მწარმოებლებს!

ხმა მიეცით მე-3 ნომრის სიას, ერთად ერთს დამცველს მშრომელი ხალხის ინტერესებისას.

სომეხი მკერვალი **ნიკო.**

**ბოროტ-მოქმედება ოქმში დაჭრილ-დასახიჩრებულ ქართველთა თფ. კავშირში.**

წელს, მარტის დასაწყისში გამგეობის წევრებმა კავშირის სახელით „ცენტრალური საასურსათო საბჭოდან“ გამოიტანეს 50 ფუთი შაქარი, მაგრამ კავშირმა მიიღო მხოლოდ 15 ფუთი. 35 ფუთი კი სადღაც გაჰქრა. როდესაც საერთო კრებაზე განვაცხადე შაქრის დაკარგვის შესახებ, მაშინ კავშირის თავმჯდომარემ სთქვა: მთავრობამ შაქარი არ მოგვცა და ჩვენ იძულებული ვიყავით მოგვენახა ისეთი პირი, რომელსაც შეეძლო შაქრის გამოტანაო, და აი, სწორეთ ის 35 ფუთი იმას მივეცით გასამრჯელოთ. ამან დიდი კამათი გამოიწვია. დაბოლოს კრებამ გადასწყვიტა აერჩია საგამომძიებლო კომისია, რომელსაც დაავალეს საქმის გამოძიება, და თუ რომელიმე მხარე მტყუანი აღმოჩნდებოდა, ის უნდა გაძევებულიყო კავშირიდან და პასუხისგებაში მიცემული. კომისია შეუდგა გამოძიებას; დიდი ხნის ძიების შემდეგ, როგორც ბაბილონის ამშენებლები, ისე კომისიის წევრები დაიფანტენ და საქმე უყურადღებოთ დასტოვეს. მხოლოდ ამ საქმის დამთავრება იკისრა გამგეობის ორმა წევრმა მუსელიანმა და თენიეიშვილმა. შეიკრიბნენ საჩქაროთ და გახსნეს სხდომა. თენიეიშვილი თავმჯდომარეობს, მუსელიანი მდივნობს. საკითხს კენჭი უყარეს. მოწინააღმდეგე არავინაა. თავი არავის შეუკავებია. ერთხმად, ორის ხმით გადასწყვიტეს ჩემი კავშირიდან გაძევება, ოქმიც შეადგინეს, რაზედაც ხელს აწერენ თავმჯდომარის მაგიერ თენიეიშვილი ⁄ მდივანი მუსელიანი, მაგრამ ის კი ძალიან მიკვირს, რატომ პასუხისგებაში არ მიმცეს!

რადგანაც მათ ვერ შესძლეს ჩემი პასუხისგებაში მიცემა, მათი რეზოლიუციის შემდეგ სრული უფლება მაქვს მე თვით მივსცე ივინი პასუხისგებაში ბოროტ-მოქმედებისათვის.

ამხანაგებო, კავშირის წევრებო! დროა საღათას ძილს თავი დავანებოთ და საქმეს უფრო ფხიზლათ მოვკიდოთ ხელი. დროა დავინახოთ ის უბედურება, რაც ჩვენს კავშირში ტრიალებს.

კავშირის წევრი **ი. ცქვიტინიძე.**

# ფრონტზე დახოცილთა ოჯახებისათვის

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ ანგარიშს. ამა ივლისის 6-ს, ზემო ავჭალის სახალ. საკულტ.-განმანათ. საზ. „განთიადის“ წარმოდგენა და ბუფეტი, რომლის შემოსავა-

ლი დანიშნული იყო ფრონტზე დაღუპულ მეომარ ქვრივ ობოლთა სასარგებლოდ.

. ბუფეტში ნავაჭრიდან შემოვიდა 976 მ. 70 კ., შემოსწირეს ფულად 71 მან., ერთმა კიდევ ერთი ვერცხლის ძველი მანეთიანი. ხარჯი იყო: სანოვაგის, სასმლის და ხილის სასყიდლათ 839 მ.; წმინდა შემოსავალი დარჩა 208 მ. 70 კ. და ვერცხლის მანეთი.

წარმოდგენიდან შემოვიდა: ბილეთების გაყიდვით 563 მან., შემოწირულება ფულად 10 მან., სულ 573 მან. ხარჯი იყო: ტანისამოსის და პარიკმახერს 240 მან.; დარჩა წმინდა მოგება 333 მან. სულ წმინდა შემოსავალი ბუფეტისა და წარმოდგენისა ერთად დარჩა 541 მ. 70 კ., ერთი ვერცხლის მანეთიც, რაიცა სრულად გადაეცა დანიშნულებისამებრ.

გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის ფულად შემომწირველთ: დამიან ფოტაგისს (ვერცხლის მანეთი), უცნობს (20 მ.), ვერა ბასტამოვას (30 მ.); კალია თურქაძისას, ბ. ტატიშვილისას, კ. ბანეთიშვილისას, ელ. წვიმაძეს, ა. კაკოიაშვილს, აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომლებმაც იშრომეს და მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენის და ბუფეტის გამართვა-მოწყობაში. **გამგეობა.**

## გიგლიოგრაფია

**მიწის საკითხი საქართველოში**, ალ. ასათიანი, 1919 წ. ფ. 10 მ.

აგრარულმა რეფორმამ სამუდამოდ დასწვა გული ჩვენს ნაციონალ-დემოკრატებს, მაგრამ რაკი კანონმდებლობით ვერას გახდენ, „თავისუფალ პროპაგანდით“ მაინც გულს იოხებენ. ბ. ასათიანიც „გულის მოოხებას“ გაუტაცნია და ქაღალდის სიძვირის დროს მაინც გამოუცია თავისი მოხსენება აგრარულ საკითხზე. ის გულმოდგინეთ უმტკიცებს თავისიანებს, რომ კერძო საკუთრება საზოგადოებრივზე უმჯობესია, კერძო საკუთრებას საზოგადოდ ხელი არ უნდა ვახლოთ და თუ მაინც და მაინც ვახლებთ—პატრონს შესაფერი სასყიდელი უნდა მივსცეთ. ხოლო ვინც ასე არ იქცევა და მემამულეებს უფასოდ მიწას ართმევს, ის ქვეყნის დამაქცევარია და დამღუპველი. ავტორს, რასაკვირველია, ჩვენი აგრარული პროგრამა არ მოსწონს, მაგრამ ჩამორთმეული მიწების კერძო საკუთრებად დაყიდვა დიდ იმედებს უღვიძებს და იმედოვნებს, რომ ბოლოს და ბოლოს ცხოვრების სინამდვილე თავისას იზამს და ჩვენი სოციალისტებიც მოჭკვიანდებიან და... ნაციონალ-დემოკრატების აგრარულ პროგრამას მიიღებენ. საზოგადოდ, ფურმე, ასათიანის თუ დავუჯერებთ, ევროპის სოციალისტები ერთობ ზომიერნი არიან ამ კითხვაში, ჩამორთმეულ მიწაში ფულს იძლევიან და სხვა ასეთები. მხოლოდ ჩვენი სოციალისტებია, რომ უკიდურესობენ და ხამობენ. კარგს კი იზამდა ბ. ასათიანი, რომ თავი დაენებებია ყველა ამ ლიბკნეხტებისთვის და მათი აზრების დამახინჯებისთვის, უმჯობესი იქნებოდა გულახდილად ეთქვა: მე და ჩემი პარტია ქართველი თავადების ინტერესებს ვიცავთ და არავინ გაუბედოს მათ მიწების ჩამორთმევაო. მაშინ ბ. ასათიანის მეცნიერული ჩხირკედელობის მიზანიც ყველასთვის ნათელი იქნებოდა.

ვ. მ.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 10 ივლისს შესდგა კრება „პროლეტარიატი ნემსის“ კავშირის წევრ. ს. დემ. მიზანი კრებისა იყო: 1) დაარსება ს. დ. იაჩეიკის და ცენ. ფრაქციაზე დასასწრებლათ წარმომადგენლების არჩევა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 5 პირისაგან: ცხვედაძე—თავმჯდომარე, გოჩიტაშვილი, ახვერდოვი, მელქაძე, შიუკაშვილი—მდივნათ. წარმომადგენლებათ ცენ. კავ. ფრაქციისთვის,—ცხვედაძე, მელქაძე და შიუკაშვილი. დაადგინეს სისტემატიურათ გამართონ კრებები; მოწვეულ იქნებიან მომხსენებლები და ლექტორები. წევრების ჩაწერა გრძელდება.

**ო. მაშოშვილი.**

---

**დ. სუფსა.** 29 ივნისს შესდგა, სუფსის რაიონის ს. დ. ორგანიზაციის წევრთა კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თანამედროვე მომენტზე, 2) პარტიული მუშაობა იაჩეიკებში 3) წვრილ ერთეულების ხმოსანთა კანდიდატების არჩევა, 4) მოხსენება სარევიზიო კომისიის კოლექტივის ანგარიშების შესახებ, 5) მობილიზაციის შესახებ, 6) ს. ღლონტის განცხადება სპეკულიაციის წინააღმდეგ.

თანამედროვე მომენტზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ევგენი ოდიშარია.

კრებამ დაადგინა იქნას გაჩაღებული „იაჩეიკებში“ პარტიული მუშაობა, რისთვისაც იქნა არჩეული მომუშავეთა კოლეგია.

წვრილ ერთეულების ხმოსანთა კანდიდატთა სიას კოლექტივის წარმოდგენილს კრება იწონებს და ადასტურებს.

სარევიზიო კომისიის წარმოდგენილ ანგარიშებს კრება იწონებს და ღებულობს.

კრებამ დაადგინა ენერგიული ზომები მიიღოს მობილიზაციის წესიერათ ჩასატარებლათ.

სასტიკათ ებრძოლოს სპეკულიაციას. მეთვალყურეთ არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: ს. ღლონტი, ქ. ჯიჯიეიშვილი, პ. როყვა, ს. გოგუაძე და ა. ანდღულაძე.

**ბ. ჰანტურია.**

## მუშათა შორის

**ბაღებში მომუშავეთა შორის.** რევოლიუციის პირველი დღიდან თფილისში დაარსდა მუშა-მებაღეების კავშირი, რომელსაც ჰყავდა 400-მდე წევრი, მაგრამ ბაღის პატრონებს ეს არ ესიამოვნათ, დაუწყეს თვითეულათ მუშებს მუქარა—დაგითხოვთო და სხ. როგორც კლასიურ ბრძოლაში ნაკლებათ განვითარებულები, მუშები შეშინდნენ და კავშირს ჩამოშორდნენ, ზოგი დაითხოვეს. და ამგვარად მებაღეებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს. დღეს, მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობის მიერ დაკანონებული არის 8 საათის სამუშაო დღე, ამ დარგში მუშებს დღესაც განუსაზღვრელად ამუშავებენ გათენებიდან დაღამებამდე. ერთი თვის წინათ განახლებული კავშირის გამგეობას და მებაღეების მიერ არჩეულ კომისიას ჰქონდათ შეერთებული კრება მთავრობის გამოცემულ ზოგიერთ დეკრეტების ცხოვრებაში გასატარებლათ, ზომების გამომუშავებას და 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, მაგრამ მებაღეებმა სასტიკათ გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ. მათ რომ შეეკითხოთ, პირველი დემოკრატები და კოლექტივის წევრები ვართო—გიპასუხებენ. ეგრე დაბეჩავებული მუშები მგონი გლებოვის „პრისტავობის“ დროსაც არ ყოფილან. მუშები ჯამაგირს ამ ჯოჯოხეთურ მუშაობისათვის 100—400 მან-მდე იღებენ. ამაზე მეტს რომ ღებულობდეს, ძალიან იშვიათად შეხვდები. დღეში კი 12 საათს მუშაობენ. აძლევენ სიმინდის ფქვილისაგან გაკეთებულ ფაფას და ამას ხარჯს ეძახიან. 10 მკათათვეს კავშირის გამგეობის ხელმძღვანელობით შესდგა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ყველა რაიონებიდან წევრების დიდი უმრავლესობა და დაადასტურეს კოლექტიური ხელშეკრულობის პროექტი, რომელიც უნდა წარუდგინონ მებაღეებს ხელმოსაწერათ. ვნახოთ, ეხლა როგორი დემოკრატები აღმოჩნდებიან.

მდივანს დაევალა ჯამაგირების ტარიფი წარუდგინოს სატარიფო პალატას. საერთო კრება დიდ იმედს გამოსთქვამს, რომ ამ შემთხვევაში მუშათა სამინისტრო და სატარიფო პალატა, როგორც ღვიძლიშვილი მუშათა კლასისა, ყოველი მხრივ დახმარებას გაუწევს მათ კანონიერ მოთხოვნილებას.

**კავშირის მდივანი ესტატე მაჩაიძე.**

## პროვინცია

**ს. ხოლრში** (ზუგდიდის მაზრა). ამ სოფელს კულტურულად გამოფხიზლება ეტყობა. შედგა სცენის მოყვარეთა წრე.

ჯერ-ჯერობით დადგეს „არსენა“, „დილა ქორწილის შემდეგ“ და „დატრიალდა ჯარა“. ფასი ყველასათვის ხელმისაწდომი იყო. შემოსავალი გადაიდო სკოლა-სამკითხველოს სასარგებლოდ. ხალხი მეტად მადლობელი და კმაყოფილი დარჩა. **ა. ლ.**

---

**ს. ბოსლევი** (შორაპნის მაზრა). დღეს სოფლის უძლიერესი მტერია უვიცობა და შეუგნებლობა. ეს უვიცობა სოფელს დიდ უბედურებას აყენებს, განსაკუთრებით ეპიდემიისა და სხვა ავათმყოფობის დროსა, როცა ავათმყოფის ჭირისუფალი ისევ ძველებურად გარბის მკითხავ-მარჩიელებთან და შემლოცავებთან, რომლებიც ავათმყოფებს ხშირად იქითკენ ამგზავრებენ სამუდამოდ, სადაც „არ არს არც ოხვრა და არც კვნესა“.

სწორეთ სოფლის ამ მტრის მოსაცილებლად ბოსლევის მომხმარებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე, გადადვა მოგებიდან 2,500 მ. პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლისთვის, პროფესიონალური განყოფილებისათვის. შესდგა საამშენებლო კომისია, რომელმაც უკვე დაიწყო მუშაობა.

**ი. თ.**

## წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის“ № 149 „მეთვალყურე“ გვისაყვედურებს, ორი წელიწადია გამგეობას საზოგადო კრება არ მოუწვევიაო. რომ ის მართლა მეთვალყურე ყოფილიყოს ზესტაფონის ყოფაცხოვრებისა ამ ორი წლის განმავლობაში, არამც თუ საყვედურით სავსე წერილებს მოათავსებდა, არამედ პირადათ დიდ მადლობას გამოუცხადებდა განყოფილების გამგეობას ისე, როგორც ეს მოხდა საზოგადო კრებაზე 6 ივლისს. ნუ თუ არ იცით, რა პირობებში უხდებოდა გამგეობას მუშაობა ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. განა არ იცით, რომ ისეთ დროს, როდესაც მთელ შორაპნის მაზრაში ანარქიის ცეცხლი იყო დანთებული და გამგეობის წევრთ, გარდა განყოფილების საქმეებისა, სხვა მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობანიც ჰქონდათ დაკისრებული. ყოვლად შეუძლებელი იყო ყველაფრისათვის იდეალურად მოეარათ, ან მთელი თავის ყურადღება მარტო წერაკითხვის კითხვის გამავრცელებ. საზ. განყოფილებისათვის მიექციათ. ზედმეტი არ იქნება გამგეობის მოქმედების გასაცნობად 1917 და 1918 წ.წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში: 1917 წ. შემოსავალი: 1) საკვიტანციო წიგნით 1599 მ. 96 კ.; 2) 1916 წლიდან გადმოსული 3180 მ. 21 კ., სულ 4780 მ. 17 კ.; 1917 წ. გასავალი: 1) საკანცელიარიო ხარჯები 27 მ. 55 კ.; 2) გათბობა-განათება 42 მ. 15 კ.; 3) სამკითხველოს გამგეს ჯამაგირი 440 მან.; არაჩვეულებრივი ხარჯები 5 მ. 40 კ.; 5) წიგნების შეძენა 89 მ. 95 კ.; 6) ჟურნალ-გაზეთები 243 მან. 46 კ.; ბანკს თეატრის შენობის პროცენტები 321 მ. 72 კ. სულ 1170 მ. 23 კ. 1918 წ. შემოსავალი: 1) საკვიტანციო წიგნით 2334 მ. 55 კ.; 2) კერძო პირზე გასესხებული 1000 მ.; 3) პროცენტები 1000 მანეთისა 73 მ. 50 კ.; 4) 1917 წლიდან გადმოსული 3609 მ. 94 კ., სულ 7017 მ. 99 კ. 1918 წ. გასავალი: 1) საკანცელიარიო ხარჯები 29 მ. 50 კ. 2) გათბობა-განათება 90 მ.; 3) გამგეს ჯამაგირი 953 მ. 66 კ.; 4) არაჩვეულებრივი ხარჯები 25 მ.; 5) წიგნების შეძენა 30 მან.; 6) ჟურნალ-გაზეთები 770 მ. 70 კ.; 7) თეატრის შენობის ბანკიდან დასახსნელი 1373 მ. 64 კ. სულ 3262 მან. 50 კ. საჭირო კი იყო საყვედურთან ერთად ბ-ნ მეთვალყურეს აღენიშნა განყოფილების შემოსავალ-გასავალი, მკითხველთა რიცხვი (1917 წ. 10097 და 1918 წელს 11428 მკითხველი), რათ არ მოიხსენია ის, რომ გამგეობის შრომითა და მეცადინეობით თეატრის შენობა ბანკის ვალიდან იქნა განთავისუფლებული და დღეს ასი ათას მანეთად ღირებული ქონება ზესტაფონის განყოფილების სრულს საკუთრებას შეადგენს?

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ზესტაფონის გაყოფილების **გამგეობა.**

---

ენფინჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშებმა თავიანთ შორის შეგროვილი თამბაქო (პაპიროსი) 7000 ცალი (350 კოლოფი) შემოსწირეს ფრონტზე მყოფ პირველი რაიონის გვარდიელებისთვის. ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მადლობას სწერავს როგორც შემომწირველთ, აგრეთვე ინიციატორს ამხ. ვლადიმეროვს. **მდივანი.**

## განცხადებანი


41 ივლის თფ. სადგურში დავკარგე უვადო „პასპორტი“ მოცემული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან და ქუთაისის სამხ. სამმართველოს უფროსის მიერ მოცუმული სამხედრო სამსახურის თავისუფლების მოწმობა. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი ადრესით: ქ. ქუთაისი, გელათის ქ. № 107, საკ. სახლი იოსებ გაბრიელის ძე ელიგულაშვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტს ვაცხადებ გაუქმებულათ.

(1—1) **ი. გ. ელიგულაშვილი.**

---

ორშაბათს 14 ივლისს დილით 9 საათზე დანიშნულია

**საზოგადო კრება**

ხელზე მოსამსახურეებისა, კლუბების და რესტორანებისა, რომელიც გაგრძელებაა წინა კრებისა, გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები. წევრების დასწრება აუცილებელია,

**გამგეობა.** (1—1)

---

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი (გლდანის ტუპიკზე, № 15 მუშტაიდის გვერდით) იწვევს მანქანით ქართულ-რუსულად კარგათ წერის მცოდნეს, რომელსაც უნდა ჰქონდეს საზოგადო განათლებაც არ არა ნაკლები საშუალოსი.

**მიღება იქნება შეჯიგრებითი გამოცდით**

პირობების გასაგებათ და გამოცდისათვის საჭიროა კავშირის კანტორაში გამოცხადება 13 ივლისს კვირას, 11 საათიდან 12 საათამდე. (1—1)

---

რუსთაველის პროსპექტი (გოლოვინის) № 24, უყვე იყიდება

**ბორჯომის წყალი** თითო დიდი ბოთლი **5 მანეთათ.** თავის ჭურჭლით.

თითო ბოთლი **ესენტუკი** თავის ბოთლით 6 **მანეთი.** აგრეთვე მსურველს შეუძლია ჭიქით გაცივებული ბორჯომის წყალი დალიოს ჭიქა ერთი მანეთი.

**დავით ქებაძე.** (2—1)

---

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პრ. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

---

ექიმი ქალი **რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჭისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

---

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

---

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

---

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი**

გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის, მიხეილის პროსპექტი № 64, ტელეფონი 14—60.

---

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

---

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

---

ექიმი **ლ. ი. ცაგარელი**

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

---

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

---

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

---

ექიმ **ძ. თ. ტყეშელაშვილის**

საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) და სხვა ავათმყოფობანი საშარდე და სასქესე ორგანოთა. ფოსტის ახლოს, კუთხე მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩებისა, შესავალი აფთიაქის პირდაპირ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.


მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.